

ქართული!

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი №3, 1999 წელი

ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სამოქალაქო კალენდრებში 14 აპრილი გამოცხადებულია ქართული ენის დღედ. ვფიქრობთ, რომ 14 აპრილის წარმოდგენილი კვალიფიკაცია მართებული არ არის; უფრო მეტიც, ამგვარ სახელდებაში სრულფასოვანი ჩანს სავითარებო და დავინყებულა საეკლესიო კალენდარი!

ჩვენი აზრით, 14 აპრილი სრულიად საქართველომ უნდა იდღესასწაულოს, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის დღე!

კონსტიტუციის მე-8 მუხლში წერია, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ამდენად, „ქართული ენაში“ თავისთავად იგულისხმება „სახელმწიფო ენა“ — გვეტყვიან...

სამყაროს ხედვა-აღქმის სხვადასხვა „ენობრივი მოდელების“

ნათელია, რომ, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია 14 აპრილის გამოცხადება არა უბრალოდ „დედაენის“ ან „ქართული ენის“ დღედ, არამედ, „საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ“...

ჩვენს პოზიციას უთუოდ ამყარებს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების არსი; ფაქტობრივად, 14 აპრილს ქართველმა ახალგაზრდობამ დაიცვა არა „ქართული ენა“ როგორც ასეთი, არამედ — „საქართველოს სახელმწიფო ენა“. ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ქუჩაში გამოვიდა საქართველოს მაშინდელ კონსტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის დასაცავად და არა — ქართული ენის დასაცავად... 1978 წელს იმპერიული ცენტრისიამოვნებით დასთანხმდებოდა, მაგალითად, ამგვარ „გარიგებას“: საქართველოს კონ-

საქართველოს სახელმწიფო ენის, დასაცავად და მისი კვალიფიკაცია შესაბამისად უნდა მოხდეს.

აქვე აღვნიშნავთ 1978 წლის 14 აპრილის სიტუაციის ერთ ტრაგიკოპიკურ მომენტსაც: საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, საქართველოში ქართული ენა იყო მეორე სახელმწიფო ენა რუსულთან ერთად!

საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის სახელმწიფო ენის — რუსულის — შეზღუდვის მოთხოვნა მაშინ ვერაფერს გაბედა... უფრო მეტიც, 1978 წლის 14 აპრილს, უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის რიგგარეშე მერვე სესიონზე მაშინდელი პირველი ხელისუფალი მოსკოვის დასამშვიდებლად ამბობდა: „... თუ გვინდა ქართველები დავუფლოთ მეცნიერების მიღწევებს, დავკავშირებული ვიყოთ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციასთან,

წლის 14 ნოემბერი)...

ამგვარად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ სახელმწიფო ენად ქართული სამჯერ გამოცხადდა:

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით;

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ;

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 284 წელს, მეფე ფარნავაზის მიერ: ისტორიული კოლხეთის დაცემის შემდეგ, მისწინაგრევეზულ მოცენებულ ქართლში (იბერიაში) გავრცელდა სხვადასხვა ენა; ფარნავაზის დროს, ძირითადად, ექვსი ენა იყო: სომხური (resp. ურარტული — ჯ. ვაშია), ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული; „და ესე ფარნავაზ იყო პირველ მეფე, ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღანა იწ-

ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გილდიათ საქართველოს სახელმწიფო ენის დღეს!

ინფორმაცია

1999 წლის 10 აპრილს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ ავ. ნერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას და ქალაქის განათლების საბჭოსთან ერთად ქართული ენის საუკეთესო მკოდნეთა გამოცხადება-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის ჩატარა კონკურსი (სტური) გამოვლინდა 7 გამარჯვებული:

1. გუმბურიძე ნინო — 51 ქულა (ი.ოცხელის სახელობის გიმნაზია)
 2. გურუნიძე თამაზ — 51 ქულა (ავ. ნერეთლის სახელობის საბაზო სკოლა-გიმნაზია)
 3. კობახიშვილმა — 51 ქულა (ი.ოცხელის სახელობის გიმნაზია)
 4. უგულავა მიხეილ — 50 ქულა (ი.ოცხელის სახელობის გიმნაზია)
 5. გენაძე ნინო — 49 ქულა (კლასიკური გიმნაზია)
 6. შუშლაძე ეკა — 48 ქულა (ი.ოცხელის სახელობის გიმნაზია)
 7. ჩიხლაძე თამარ — 47 ქულა (კლასიკური გიმნაზია).
- დასკვნითი შედეგები გამოცხადდა 10 აპრილს, ხელმოწერა და პატივსაცემი სახელმწიფო თიანეთი.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ დიდხულოვნად დაუთმო ქალაქს მერიის შენობაში განკუთვნილი ოთახი სამლოცველო და... ჯერჯერობით თავს ბავშვების ტაძრის აღორძინების ცინდის მანსარდს აღარებს...

14 აპრილი — ქართული ენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?

მქონე საქართველოს მოქალაქეებმა „ნაგულისხმევი“ განსხვავებულად შეიძლება გაიაზრონ: კერძოდ, საკუთრივ ეთნიკური ქართველები მას როგორც „მშობლიურ ენას“, „დედაენას“ დაუდგამენ ძეგლს; მარნეულის, ნალკის, ზნაურის, გუდაუთისა თუ ახალქალაქის მოსახლეობისათვის კი ქართული არც დედაენაა და არც — მშობლიური...

ლოზუნგი: „14 აპრილი — ქართული ენის დღე“ სრულფასოვან არ ავადებულა საქართველოს სხვაენოვან მცხოვრებთ, რომ ეს დღე ზეიმით აღნიშნონ; მეტიც, ამგვარმა კვალიფიკაციამ საქართველოში არსებული ენების სხვადასხვაგვარ ზეიმს შეიძლება დაუდოს სათავე... შდრ., ლოზუნგი: „14 აპრილი — სახელმწიფო ენის დღე“ საქართველოს ყველა მოქალაქეს ნათლად ეუბნება, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მცხოვრებმა ერთნაირი პატივით უნდა აღიაროს იმპერიის სახელმწიფო ენის — ქართული ენის — დღე. კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის შესვენება ამ დროს არავის დასჭირდება, ვინაიდან, ეთნიკურად არაქართველმა იცის, რომ საქართველოში ცხოვრობს „საქართველოში“ ცხოვრობს, საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენად ავტომატონი მოსახლეობის — ქართველობის — ენა გამოცხადებული...

სტიტუციაში სახელმწიფო ენის სტატუსი გაფუჭდომ ქართულს და, სამაგიეროდ, ქართული ენის დასაცავად შევქმნით პროგრამებს, კვლევით ინსტიტუტებს და ასე შემდეგ...

რუსეთის იმპერია იმჟამად შემდგომი განვითარების გზებს სახავდა; ალბათ, მაშინაც, ორი რუსული კლანი უპირისპირდებოდა ერთმანეთს; ერთ ნაწილს — შოვინისტურ (რუსულ-აღმოსავლურ) ფრთას სურდა ტოტალიტარული იმპერიის იურიდიული გაფორმება (სადაც სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული გამოცხადდებოდა), ხოლო მეორე ნაწილი (მასონურ-რუსული) — „პერესტროიკის“ განხორციელებისთვის ემზადებოდა...

ქართველი ახალგაზრდობის რეაქციამ „იმპერიული მარნუების“ მოდუნების მსურველი პროდასავლური კლანისკენ გადახარა სასწორი (რამდენიმე წლის შემდეგ პოლიტიკურ ზედაპირზე დაფიქსირდა გორბაჩოველცინის გუნდი; ოღონდ, ბოლომდე ვერც „პერესტროიკის“ გეგმა აღსრულდა: მათ სასურველ საზღვრებში ცვლარ შეაჩერეს იმპერიის მსხვერვა, ეროვნული მოძრაობების აზვირთების გამო)...

ამგვარად, 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლები მიმართული იყო ქართული ენის, როგორც

აუცილებელია კვლავაც და კვლავაც პატივს ვცემდეთ, ესნაველობდეთ დიდი რუსი ხალხის შესანიშნავ და მდიდარ ენას — რუსულ ენას“ (გაზეთი „კომუნისტ“, 1978, 15 აპრილი, №89)... ე.ი. საბჭოთა იმპერიის პროვინცია „დიდი სინათლეზე“ მხოლოდ რუსული უნდა გასულიყო... ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები „სინათლეს“ ქმნიდა, მათთან კი რუსულის გარეშე ვერ მივიდოდით?!

ასეთი იყო იმპერიის ნება... .. პოზიციითა სხვაგვარი სიმყარე სჭირდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს:

1990 წელს, 14 ნოემბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით არჩეული უზენაესი საბჭოს პირველივე სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: „საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება; ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმისწარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო სასწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ენ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყოს ამგვარ დაქვემდებარებას ან სრულიად მქვეყნიტოს არსებობა (1990

რახეზიდა სხვა ქსა ქართლსა შინა თუნიერ ქართლისა“...

დასასრულს, შვითხველს შევახსენებთ ერთ საინტერესო და ჩვენთვის არსებით ცხოვრებად: იოანე-ზოსიმეს (ქართველის) შემდეგ, მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელური ეკლესია ღაზარეს აღდგინების დღეს (შაბათს) აღნიშნავს ქართული ენის დღესაც; აღველიხება სახადლობლი წირვა, სრულდება საღმრთო ლიტურგია. მგალობლები გალობენ საგალობელს: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“...

რუსეთის ეკლესიის სინოდმა 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან ერთად ეს დღეც გააუქმა... იგი აღდგენილ იქნა 1918 წლის შემდეგ...

P.S. ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ 1999 წლის ბიუჯეტში საკმარისი თანხაა გამოყოფილი სახელმწიფო ენის სტატუსის დამცავი სახელმწიფო სამსახურის — საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოსთვის, მაგრამ, ეტყობა, გარკვეული ინერციით, ბიუჯეტის ჩამონათვლში დაშვებულია შეცდომა. უსხა ეხეროს: „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო“ (შემოკლებით — „ენის სამმართველო“) და არა „ქართული ენის სისხილ-აქ“... **ტარიშელ უფსაბრაძე**

ინტერვიუ

საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ წინასწარ შერიგებული კითხვებით მივმართეთ ჩვენს თანაქალაქელებს. რესპოდენტებმა პასუხები წერილობით მოგვანოდეს; სტილი, ძირითადად, დაცულია. ინტერვიუს გაგრძელებას მომდევნო ნომერში შემოვთავაზებთ.

ლია რუსაძე, კვიციანი გურამიძე

— რას ნიშნავს თქვენთვის 14 აპრილი, როგორია თქვენი დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი?

მანანა მანანაძე (ქუე ქართული ენის კათედრის გამგე):

— 14 აპრილი ყველა ქართველის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილია. რაც დრო გადის, ამ დღის განსაკუთრებული უფრო ძლიერდება აღზნა, იმის გამოც, რომ ქართველ ერს დიდი ვასაჟური ადგას, შე-

ქართული ენა უფლებსა დედამიწის ზურგზე და იგი მსოფლიოს ცივილიზაციულ ენებს მიეკუთვნება...

ზურაბ ბაზინაძე (გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის დირექტორი, პოეტი, ლაღო ასათიანის პრემიის ლაურეატი):

— საკუთრივ 14 აპრილი ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს. ჩემთვის გაუგებარია „დედის დღე“, „მისი დღე“, „პოეზიის დღე“, რადგან ჩემთვის წელიწადის ყოველი დღე პოეზიისაა, ყოველი ადამიანისთვის ყოველი დღე დედისაა. შეიძლება ყოველი დღე ქართული ენის გარეშე წარმოვიდგინოთ? ყოველი დღე ქართველებისთვის ქართული ენის ზემოთ დღეა. სახელმწიფო კი, თუ რაიმეზე ზრუნვა შეუძლია, ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს ქართული ენის განმტკიცებისა და აღზევებისათვის. დიდმა ილიამ ხომ ქართველთა ეროვნულ დროშას ასე წააწერა: „ენა, მამული, სარწმუნოება“...

ბუნარა წიკლაძე (ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი):

— 14 აპრილი არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა ქართველისთვის მეტად მნიშვნელოვანი დღე უნდა იყოს. მან კიდევ ერთხელ უნდა შეგვახსენოს, რომ ვართ იმ გამოჩენილ ერებს შორის, რომელთაც საკუთარი ანბანი აქვთ. ენა არის ჩვენი უძვირფასესი განძი, რომელმაც დღემდე დაიცვა და მოიტანა ჩვენი ეროვნულობა...

მერაბ ბაზინაძე (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი):

გასაოცარი თავყანისცემის გრძობა უცხოურისადმი. ძალიან ზნობად გვესმის. 2-3 წლის ბავშვის შობილი-საგან: „ჩემმა შვილმა ინგლისური დაიწყო, ინგლისურ ბაღში დადის!“ ქართული ენა ქართველი ერის ნიშანთაგან ყველაზე ძველია და, თუ

— 14 აპრილი ჩემთვის იმ გამოჩენილი ჭეშმარიტების გახსენების დღეა, რომ „ქართული ერის“ ცნების საფუძველი ენობრივი კონსოლიდაციის აღიარებაა; 1978 წლის 14 აპრილის გახსენების დღეა, როცა ყოველი ქართველი, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ერთად იდგა ერის ყველაზე დიდი მონაპოვარის — ქართული ენის დასაცავად. ეს იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი დღე, ქართველისათვის ქართველობის არდაფიწების დღე. ეს იყო დღე, როცა ქართველს არ ემ-

ლემოდა მტრის ამოცნობა, ღიბრი ნაკლებად ფარავდა მის თვალებს... ჩემს დამოკიდებულებას სახელმწიფო ენისადმი გრ. ორბელიანის სიტყვებით გეტყვით — „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს. წარუცხოს წირქი ტაძარსა წმიდის!“

მერაბ ბაზინაძე (ქუთაისის №1 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი):

— ქართულმა ენამ უყანასკნელ პერიოდში მრავალ წარმატებას მიაღწია. მთელი თავისი არსებობის მანძილზე მას უხედავად ბრძოლისა და კონკურენციის ატანა ისეთი მაღალი კულტურის მქონე ენებთან, როგორცაა: ბერძნული, არაბული, სპარსული. ქართულმა ენამ არ გაიკარა ზეგავლენა ისეთი ენებისა, როგორცაა: თურქული, მონღოლური, ხაზა-

რული. თვით ამ ენებთან შეჭიბობისას ქართული ენა გამარჯვებული გამოვიდა მთელი კავკასიის ტერიტორიაზე.

14 აპრილი ჩემთვის ქართული ენის ზემოთსა და საქართველოს არაკეთილმოსურნეებზე გამარჯვების ტოლფასია; იყო დრო, როცა „სუყველადევერზე თავის კანტურით კინლა დავკარგეთ ენა ქართული“ იმის გამო, რომ „სუყველადევერზე თავის კანტური საქციელია არაქართული!“... დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოში მსგავსის ჩადენა დაუშვებელია!...

ლიბა ბრინალაშვილი (ქურნა-

სამშართველოს უფროსის თანამშემწე კადრებისა და პირად შემადგენლობასთან შემართვის დარგში, პოლიციის მაიორი):

— ის ეროვნული აღტყინება, ის ერთიანი სული, რაც 1978 წელს გამოხატა ქართველობამ საკუთარი ენის უფლებების დასაცავად, ძალზე უჩვეულო იყო იმ დროს სამშრომელ კავშირში შემაგონებელი ვგელო ხალხისათვის. იმ წლებში მე მჭეროდა, რომ ქართველობა ვგელო დამბრკოლებას ძალზე იოლად გადალახავდა. ამიტომ მინდა, რომ ძალზე მთელ საქართველოს ის განწყობილება, ის ერთიანობა დაე-

ჩვენ

ქართველია ქართული ენა. ეს არის ჩვენი საწიხარი და ამას ვერ მოწყვლია. ქართული ენა სახელმწიფო ენაა. ეს ყველას სიამაყით გვაგებებს. ქართველი ერის წარსული, აწურო და მომავალი, მისი ზნობრივი და გონებრივი ცხოვრება ხომ ქართულ ენაშია ასახული. ძალიან სამწუხაროა, რომ არიან ისეთი ქართველები, რომელთაც სამარცხვინოდ მიანბნა, იამაყონ თავიანთი ეროვნებით (ტელევიზიაში, რადიოში ზმობად გვესმის: „ჩვენ ბაქია ხალხი ვართ. დაინებული გვაქვს — საქართველო ლეთისმშობლის წილხედარი ქვეყანაა“ და ა.შ.)

1999 წლის 30 მარტს, 13.40 წთზე, შემთხვევით, საქართველოს რადიოს 1 არხზე მოვისმინე ინტერვიუ ქართველ ქალთან (სამწუხაროდ, რესპოდენტის გვარი და სახელი ვერ გავიგინე), რომელიც დაბეჭივებით ვაგრძობებდა, რომ ჩვენი ისტორია, ჩვენი ენა არაფრით არ არის სხვისაზე უკეთესი და ჩვენ საამაყო არაფერი გვაქვს. სწორედ ამთ გასაგონად მინდა ვთქვა: დიახ, გვაქვს საამაყო.

— ელის თუ არა საფრთხე ქართულ ენას (ქართველ ერს)?

ალმაზი ბაქსაძე — ეს კითხვა ჩემი პირველი პასუხის ლოგიკური გაგრძელებაა: კი არ ელის, რიზილად რომ ვთქვათ, ის უკვე საფრთხეშია. რა მძღუფს ამის თქმის საფუძველს? — საქართველოს კანონი „განათლების შესახებ“, მუხლი 4. „საქართველოს

მდგარა საფრთხის წინაშე (გაგისხენოთ ახლო წარსული — რუსიფიკაციის პერიოდი). თვალს რე დავხუჭავთ და ახლაც დგას საფრთხის წინაშე... მაგრამ ქართველი ერი უკვდავია და უკვდავი დარჩება მანამ, სანამ ქართულ ენაზე

ილაპარაკებს, დაწერს, შექმნის, ილოცებს, იმღერებს. „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ უწოდა მას პოეტმა და ლმურთები ხომ უკვდავნი არიან...

ბუნარა წიკლაძე — როცა ერი დედაენას ძეგლს უდგამს, ცხადია, ენის არსებობა-არარსებობის პრობლემა არ დგას. ქართული ენის არსებობას საფრთხე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაემუქროს, თუკი თვით ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება. მაგრამ ქართული ენის სიწმინდისათვის, მისი ენობრივი ნორმების დაცვისათვის ბრძოლა კი ნამდვილად გემართებს,

ლისტი): — იქნებ ბანალური ფრაზა იყოს, მაგრამ მაინც მინდა გავიმეორო — მშობლიური ენის, ქვეყნისა და ერის სიყვარულის გამოსახატავად განსაკუთრებული დღის „შერჩევა“ არ უნდა დაგვპირვებოდეს.

14 აპრილი ჩემში ტკივილს იწვევს, ათასჯერ გათვლილი და დღემდე „სიმწრით“ გადარჩენილი ქართული ენის გამო. სახელმწიფო ენა ანუ ქართული, თითოეული ჩვენი განსათვის სულის ნაწილი და ღირსების დაცვის ყველაზე საუფეთესო გზა უნდა იყოს და არა ქვეყნის მეთაურის ბრძანებით ნაკარნახევი საკომუნიკაციო საშუალება...

მიხაილ მუშლაძე (იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი

უფლოს, რაც იყო 1978 წლის 14 აპრილი).

ალმაზი ბაქსაძე (ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი)

— უფრო სწორი იქნებოდა, გეკითხათ: „როგორია თქვენი დამოკიდებულება სახელმწიფო ენებისადმი?“

დიახ, სახელმწიფო ენებისადმი, რადგან ჩვენთან, ჯერ კვლავ „საქართველოდ“ წოდებულ ქვეყანაში, ორი სახელმწიფო ენაა:

ერთი ქართული, მეორე — აფხაზური: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე — აფხაზური“ (საქართველოს კონსტიტუცია, მე-8 მუხლი).

თუ ელის, როგორ ავიცილებთ?

გამოსაგალს კი იმაში ვხედავ, რომ უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხით ნამდვილად დაინტერესება, ანუ უნდა შეიქმნას არა ფორმალური, არამედ ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დაიცავს სახელმწიფო ენას. ეს კი, თავის მხრივ, ბევრი საინტერესო ღონისძიების გატარებას გულისხმობს.

მერაბ ბაზინაძე — საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც „ორ ზღვას შუა გაჭენებული და გამოქნებული“ ქვეყნის პოზიციას ემყარება, მისი უხერხული „დერეფნისებური“ მდებარეობა ორმაგად, სამაგად და ასამაგად ვალდებულს ხდის ქართველ ერს ე.წ. „აბრეშუმის გზის“ ჩვენი მონაკვეთზე სხვა ეროვნების მოსახლეობის, უბრალოდ, არარსებობას!

ქართველ ერს, გოლგოთაზე მისულს, შეგახსენებ შემდეგ ფრაზას: „გუგულის კერცხი უსოდენ უხვად ჯერ არ ყოფილა ჩვენში“... თქვენს მონა-მორჩილს გუგულის კერცხისა კი არ ეშინია, არამედ, გუგულის

ბარტყის მოქცევისა ხვალინდელ ინტელექტუალურ საქართველოში. ამის შემდეგ კრწანისის ველზე სირცხვილით დანთებული ცეცხლის ჩაქრობა არვის გაუჭირდება!

ლიბა ბრინალაშვილი — როცა ერის ისტორიაში სამარცხვინო ფურცელი — 1978 წელი — არსებობს, რა თქმა უნდა, საფრთხეს უნდა ველოდოდ. ეროვნული თვითშეგნების ზრდა, მე ვერ გეტყვით, რომ მნიშვნელოვნად იგრძნობა. თუმცა, ამ ბოლო დროს აღზევების პერიოდს გვემონდა. ეს ყველაფერი დროებითაა აღმოჩნდა და სხვაგვარად რომ ვერ აგებენ, „ფანატისმად“ მოგნათლეთ. გამომავალი ცოტა მწელი მოსაძებნია...

მიხაილ მუშლაძე — ქართულ ენას და ქართველ ერსაც დღეს ძალიან დიდი საფრთხე ელის ყოველი მხრიდან, თუ ქართველმა ერმა არ გამოიჩინა გონიერება, სიბრძნე იმისათვის, რათა ყოველივე დაძლიოს და გამარჯვებული გამოვიდეს ამ კატაკლიზმებიდან...

სახელმწიფო ენის

მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, ადგომლობენ თვითმმართველობის ორგანოების რეკომენდაციით, სახელმწიფო უწყისის პირობების ისეთი სახით და ზოგადად განმარტებული დამწესებულებების, ან სექტორის შესაქმნელად, სადაც სწავლება ხორციელდება მათ მშობლიურ ენაზე.

ერი დაკარგავს ამ ნიშანს, იგი ამით თავისთავადობასაც დაკარგავს. დღეს განათლება, განმრთელობის დაცვა, კულტურა იგარკმნილია და სულაც არაა გასაგვირი, რომ ქართულ ენასაც უჭირდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვება და ე.წ. „ეროვნული ზეღოსუფლებების“ მოსვლა სათავეში ამ საქმეს მაინც და მაინც არ წასდგომია... მე მწამს, რომ ყოველივე ეს დროებითია, კვლავ ერთ მჭილად შეიკვრება საქართველო და თავის ქვეყანას, ენას მოუფლის.

ზურაბ ბაზინაძე — ქართველი ერი და, ამასთან, ქართული ენაც ბევრჯერ

მდგარა საფრთხის წინაშე (გაგისხენოთ ახლო წარსული — რუსიფიკაციის პერიოდი). თვალს რე დავხუჭავთ და ახლაც დგას საფრთხის წინაშე... მაგრამ ქართველი ერი უკვდავია და უკვდავი დარჩება მანამ, სანამ ქართულ ენაზე

ილაპარაკებს, დაწერს, შექმნის, ილოცებს, იმღერებს. „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ უწოდა მას პოეტმა და ლმურთები ხომ უკვდავნი არიან...

ბუნარა წიკლაძე — როცა ერი დედაენას ძეგლს უდგამს, ცხადია, ენის არსებობა-არარსებობის პრობლემა არ დგას. ქართული ენის არსებობას საფრთხე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაემუქროს, თუკი თვით ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება. მაგრამ ქართული ენის სიწმინდისათვის, მისი ენობრივი ნორმების დაცვისათვის ბრძოლა კი ნამდვილად გემართებს,

— ვინ უნდა აკონტროლოს სახელმწიფო ენა — ხელისუფლებამ თუ ხალხმა?

მანანა მანანაძე — ქართული ენის უფლებების გახსენებისა და დამცველობისათვის, მისი სიწმინდისა და განუყოფლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის სახელმწიფო პოზიციას, რომლის განმარტებაც ქვეყნის განუყოფლობის შემთხვევითი ნაწილია. სახელმწიფო ენის დაცვა ყველა დონისათვის — პარლამენტისათვის, მთავრობისათვის, სასწავლებლებისათვის, თითოეული ჩვენს ერის წევრისათვის უნდა იყოს ქართველი ერის ზეპირი — ქართული ენა.

გვახსოვდეს: „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საბატოო საქმეა, როგორც ხმალით დაცვა საკუთარი მშობლიობის“ (კ. გამსახურდია).

ზურაბ ბაზინაძე — გაკონტროლებამდე დაცვა საჭიროა. ენა ჯერ უნდა დაიცვას და მერე აკონტროლოს სახელმწიფო (კანონით, დადგენილებით, ამისთვის საჭირო ლიტერატურის გამოცემის დაფინანსებით), ხალხმაც (მოსწავლე, სტუდენტი, ზინიენიკი, ფერხალისტი, მწიქალი).

ზურაბ ბაზინაძე — უნდა არ-

სებობდეს ქართული ენის ნორმების დაცვის ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ენის დაცვა მართო სახელმწიფოს, საქმე არ არის, არის საკითხები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს პრეოგატივია, ზოგიც კიდევ — ხალხისა ან ორივესი ერთად.

მერაბ ბაზინაძე — ორთავემ — ხელისუფლებამაც და ხალხმაც, ხალხმა იმ უპიროტესობით, რომ თავად ხელისუფლებაც უნდა აკონტროლოს სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულებაში.

ალმაზი ბაქსაძე — ხელისუფ-

ლებამ და ხალხმა. ეს ორი ცნების ერთი გამოხატულებაა. ხალხი — ხელისუფლებაში და ხელისუფლება

— ხალხში დემოკრატიული მართვისა და თანაარსებობის მთავარი პოსტულატია. ენის კონტროლიც აქედან აირეკლება. თუ ენას მოკლავენ, მოკლავენ ერსაც...

მიხაილ მუშლაძე — სახელმწიფო ენა უნდა აკონტროლოს ხელისუფლებამაც და ხალხმაც, მაგრამ პასუხი

ხელისუფლებამ უნდა აგოს.

მერაბ ბაზინაძე — სახელმწიფო ენა უნდა აკონტროლოს ქეშმარიტი

შესახებ

ქართველებიდან არჩეულია, ეროვნულ მთლიანობაზე მოფიქრალმა ხელისუფლებამ, რომელიც გაცილებით მაღლა დააყენებს ქართველი ხალხის ინტერესებს, ვიდრე — გადამთიელებისას!

ლიბა ბრინალაშვილი — ხელისუფლებამ ენა უნდა აკონტროლოს, ხალხმა — ხელისუფლება...

სწორი აზროვნება

ზოგიერთი ნაცვალსახელის მართლწარმოცობა (I ნაწილი)

ნაცვალსახელი სახელის ნაცვალსახელის და ზეპირსა თუ წერილობით მხარეებში ტავტოლოგიის (განმეორების) თავიდან აცილების საშუალებაა მისი მონაცვალის გამოყენება დახვეწილ სტილზე მეტყველებას, ანტიკვლევითი კვლევების მკაცრობის ნაცვალსახელთა ვეგუფობის დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს.

1) პირის ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში არ დაირთავს არც რიცხვისა და არც ბრუნვის ნიშანს, იცვლება მხოლოდ მათი ფუნქციონირების შედეგად და ერთი უნდა იყოს. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ფუნქციაა მრავლობითი რიცხვის გამოყოფა. იგი დაურთავს არსებით სახელთა მრავლობითის ფუნქციას: კაცთაგანა, წინაპართაგანა. ამათი ანალოგიითაა გაჩენილი პირის ნაცვალსახელთა თანხანი, მცდარი ფორმები იმის ხაზგასასმელად, რომ სწორედ მრავლობითი ხდება ერთის გამოორჩევა. მეტყველმა მრავლობითი რიცხვის მორფოლოგიური ნიშანი დაურთო ისედაც მრავლობითის შინაარსის გამოხატველ ფუნქციას.

მცდარია: მართლწარმოცობა: ჩვენთაგანი ჩვენგანი თქვენთაგანი თქვენგანი

2) თანამედროვე სალიტერატურო ქართული სიტყვის მიუღებელია, რომ მშ არის ნახმარი კუთვნი-

ლებითი ნაცვალსახელის ფარდად ან ნათესაობითის ფუნქციის მატარებელი. ამით გათავდა მე და მისი საუბარი. უნდა იყოს: მე და მისი საუბარი.

3) თავლებულიან პირის ნაცვალსახელს ნათესაობითში ს არ დაერთვის:

მცდარია: მართლწარმოცობა: ჩემს მიერ ჩემ მიერ შენს მიერ შენ მიერ თქვენს მიერ თქვენ მიერ შენსკენ ჩემკენ ჩვენსკენ ჩვენკენ თქვენსკენ თქვენკენ

4. მრავლობითი რიცხვში მესამე პირის ნაცვალსახელის მოთხოვნილი ბრუნვის ფორმაა მამი. ზოგჯერ მის ნაცვალსახელს კუთვნილებით ნაცვალსახელს მოთხოვნილი ბრუნვის ფორმა:

მცდარია: მართლწარმოცობა: მათმა ააშენეს მათ ააშენეს მათმა გააკეთეს მათ გააკეთეს მათმა დაწერეს მათ დაწერეს მათმა თქვეს მათ თქვეს მათმა შეადგინეს მათ შეადგინეს

თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად (მსახურებულად) არის გამოყენებული, მაშინ ვამბობთ და ეწერით: მათმა მეგობრებმა ააშენეს, მათმა მეზობლებმა გააკეთეს, მათმა შეილებმა დაწერეს.

რუსულან სალინაძე

უცხო სიტყვები

თინეიჯერი — ინგლისური სიტყვაა. teenager (თინეიჯერი) — მთელს ევროპაში აღნიშნავს ახალგაზრდებს 13-დან 20 წლამდე. ამ სიტყვის შექმნის მოკლე ისტორია ასეთია: ინგლისურ ენაში "teen" (თინ) გამოეყო, როგორც დამოუკიდებელი ელემენტი. მას შეერწყა მრ. რიცხვის აღმნიშვნელი "s" და გაჩნდა ახალი ინგლისური სიტყვა "teens" (თინს — თინები), მოგვიანებით მას დაემატა age (ეიჯ) ასაკი — ასე მივიღეთ teenager (თინეიჯერი).

დღეისათვის ორივე სიტყვა ინგლისური ენის ნებისმიერ მეტნაკლებად ვრცელ ლექსიკონშია შეტანილი.

თინეიჯერი დამკვიდრდა მრავალ ენაში, სადაც აქამდე არ არსებობდა სპეციალური სიტყვა, რომლითაც განსაზღვრებოდა ასაკი გარკვეული შენობების. ქართულში კი ამ ფორმას შესატყვისები დახვდა. სს. ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია: „თინ წლით ათხუთმეტამდე ვაჟსა — ნინველი, ქალსა —

ნინველა; თხუთმეტი წლით(გან) ვიდრე იცამდე ვაჟსა — ყრმა და ქალსა — ყრმაჲ“ ეწოდების. (სს. ორბ., „ლექსიკონი ქართული“, ტ. I, გვ. 369).

მაშასადამე, ჩვენს ენაში არსებულ ასაკის დამაკონკრეტებელ სიტყვებს, გაცილებით დიდი ისტორია აქვს, ვიდრე ინგლისურში (და აქედან მთელს ევროპაში) ახლადდამკვიდრებულ ფორმას, რომელიც უფრო მისაღები აღმოჩნდა ქართველისთვის, ვიდრე — შობლიური.

გრანტი — ინგლისური სიტყვა grant (გრანტ) ნიშნავს საჩუქარს, შემოწირულობას. ოფიციალურ სიტუაციაში რისიმე გადაცემას, თანხმობას დააკმაყოფილო მოთხოვნა ან ადამიანს რითიმე სარგებლობის უფლება მისცე. გრანტი — სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხის რაოდენობა, ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც უწევენ ორგანიზაციებს, ფირმებს, კერძო პირებს ან სხვა სახელმწიფოებს.

მასალა მოამზადდა სოფიკო სულაგარიძე

სამხისწარმოება და ტარიფოლოგია

მ.წ. „პარაზიტი“ სიტყვაში და გაყოფაში (ანუ უტაში და განცხადებაში)

ქართულ ენაში გავრცელებულია ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც კანცელაროლოგიის ბუნება ახის მათ „პარაზიტ“ სიტყვებსა და გამოთქმებს უწოდებენ. ასეთია: ბაზია, მამროსოვლები, საჭე, ატარებს, ხდება, ადგილი აქვს.

არ ვარგა: მეშობას ატარებს, მოხსენებს ატარებს, მოხსენებაში გამოდის, წვლილი შეიტანა მისი ქანების შესწავლის საქმეში, დიდი როლი შეასრულა გამარჯვებაში

მეში (მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის საქმეში), კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, ამ პროცესში იშლება მოლეკულები, იზრდება ფასები.

უნდა ითქვას და დივიდოს: მეშობს, მოხსენებს კითხულობს, მოხსენებით გამოდის, წვლილი შეიტანა მისი ქანების შესწავლაში, როლი შეასრულა გამარჯვებაში (მოსახლეობის პურით უზრუნ-

ველყოფაში), ავტორიტეტით სარგებლობს, ამ პროცესში იშლება მოლეკულები, იზრდება ფასები.

ზეჭით აღნიშნულ ყოველ სიტყვაში თუ გამოთქმას ენაში გარკვეული ფუნქცია აკისრია. მიგაღივად, ისეთ შემთხვევაში, როცა მართლაც ადგილზეა დაპარაჯი, უნდა გამოვიყენოთ გამოთქმა ადგილი აქვს; მეზერს ზედა ადგილი აქვს ეაგონში; საეენახე ადგილი აქვს და სხვა.

რუსულან სალინაძე

უცხოელები და ჩვენ

ქართული ენის უცხოელი მოაგაგა გააა ლუიჯი განგოვანი

იტალიაში ქართული კულტურისადმი საუკუნეების წინათ აღმოცენებული განსაკუთრებული ინტერესი დღეს უფრო მასშტაბური ხდება. აქ არა მარტო მეცნიერი ქართველოლოგები იკვლევენ ქართველთა სულთა ცხოვრების ცალკეულ ასპექტებს, არამედ აშკარად გამოიკვეთა ქართული პრაქტიკული სასაუბრო ენის, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ზოგადი საკითხებით დაინტერესებული ფართო წრე.

სწორედ ასეთ ვითარებაში ქვემარტად დასაფასებელია იტალიელი მღვდლის ლუიჯი მანტოვანის ენათმეცნიერული საქმიანობა.

მამა ლუიჯი ვერონიდანაა, სტიმატინების კონგრეგაციის წევრი, იგი ასწავლიდა იტალიურს, ლათინურს, მუსიკას, ისტორიას, გეოგრაფიას ვერონის საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორიც თავად იყო წლების მანძილზე.

მამა ლუიჯი უაღრესად განათლებული პიროვნებაა, ფლობს ევროპულ ენებს, ზოგ მათგანს მეცნიერულადაც იკვლევს, დაწერილი აქვს „იტალიური ენის მცირე გრამატიკა“ (1991). იგი ქართულ ენას გუგუნი რამდენიმე წლის წინათ. 1994 წელს ვერონის სტიმატინების კონგრეგაციის გადაწყვეტილებით საქართველოში უნდა გამოეგზავნათ ადგილობრივი კათოლიკე მრევლისათვის მღვდლები ჯუზეპე პაზოტო და გაბრიელე ბრაგანტინი. ამიტომაც წმინდა მამებმა იტალიაშივე დაიწყეს ქართული ენის შესწავლა იმხანად ვერონის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტის ლელა ბერიძის დახმარებით. მალე იგი გაიცნო მამა ლუიჯი მანტოვანმაც და შემდეგ მათი ნაცნობობა მეცნიერულ თანამშრომლობაში გადაიზარდა.

მამა ლუიჯი, რომელსაც მომადლებული აქვს განსაკუთრებული ენათმეცნიერული ალღო, იმთავითვე ძალიან მოიხიბლა რთული, მაგრამ მეტად საინტერესო ქართული ენით და ასე

თანდათან გამოიკვეთა მისი ქართველოლოგიური კვლევის გზაც.

მას შემდეგ მამა ლუიჯი გულმოდგინედ და შესაშური ინტერესით შეუდგა ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას: იმხნდა ლ. ბერიძის კონსულტაციებს, საზაფხულო არდადეგებს ატარებდა ქუთაისში (როგორც კათოლიკური ეკლესიის მღვდელი), უშუალოდ აკვირდებოდა ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს; ეცნობოდა საქართველოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას. გარდა ამისა, მას დიდი დახმარება გაუწია ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომებმა, უცხოელი ქართველოლოგების პ. არონსონის, პ. ფენრიხის, პ. ფოგატის თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებმა; ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იტალიელი მისიონერების მიერ შედგენილმა ენათმეცნიერულმა ნაშრომებმა.

ევროპული ენების ცოდნა მამა ლუიჯის საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვეს ჩვენი ენის ორიგინალურ სტრუქტურაში, ადვილად გამოკვეთოს ქართული ენის სპეციფიკურობა.

წმინდა მამას მიაჩნია, რომ უცხოეთში უფრო უკეთ უნდა იცნობდნენ ამ უმეცნიერეს მხარეს არამარტო თავისი უძველესი ისტორიული წარსულითა და დღევანდლობით, არამედ საოცრად მდიდარი და მუსიკალური ძეგრადობით გამოჩენილი ქართული ენით. სწორედ ამ კეთილშობილურმა მიზანმა და ქართველი ხალხის პატივისცემამ შეაქმნევინა მამა ლუიჯის „ქართული ენის მცირე გრამატიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1997 წელს იტალიაში. ესაა იტალიურად დაწერილი პირველი ნაბეჭდი გრამატიკა ქართული ენისა, განკუთვნილი უცხოელთათვის.

მამა ლუიჯი შესანიშნავი პრაქტიკოსი პედაგოგიცაა. მან კარგად უწყის ქართული გრამატიკის, განსაკუთრებით ზმნის სისტემის, სირთულე და ამიტომ თანამემამულეთა დასახმარებლად, კერძოდ, იმთავის, სვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს,

შეადგინა და ლ. ბერიძის თანავტორობით გასულ წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული ენის საგარეო მოთხოვნის მცირე კრებული“, რომელიც ზემოაღნიშნული გრამატიკის უშუალო გაგრძელებაა.

წიგნის სტრუქტურა ასეთია: პირველ ნაწილში მოცემულია კითხვის წესების საგარეო მოთხოვნები, მეორე ნაწილი კი ეთმობა გრამატიკული საკითხების საგარეო მოთხოვნებს. 10 გვერდიანი მოცულობით.

წიგნს დანართის სახით ახლავს ქართული-იტალიური სასაუბრო, ზედსართავი სახელის ანტონიმური წყვილებსა და საგარეო მოთხოვნებში გამოყენებული სიტყვების ქართული-იტალიური ლექსიკონი.

სარეცენზოთ წიგნი ფასეულია იმითაც, რომ საილუსტრაციო მაგალითები ძირითადად შერჩეულია ქართული სინამდვილიდან, აქვია აფორიზმები („ვეფხისტყაოსნიდან“), ქართული ხალხური ანდაზები და წინადადებები ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან.

იტალიელმა მეცნიერებმა გულთბილად მიიღო ეს წიგნები. ბევრი მათგანი მშობლიურ ენაზე სწორედ მათი მეშვეობით ეზიარა ქართული ენის ხიბლსა და მადლს.

მამა ლუიჯი გასული წლის შემოდგომიდან უკვე ქუთაისის მკვიდრია. იგი წირვა-ლოცვით ემსახურება თავის მრევლს, ქუთაისელ ახალგაზრდებს უსასყიდლოდ ასწავლის იტალიურ ენას, თანვე აგრძელებს მეცნიერულ კვლევას. ამჯერად იგი ინტენსიურად მუშაობს ვრცელი ქართული-იტალიური ლექსიკონის შედგენაზე, დაინტერესებულია, აგრეთვე, ქართველურ ენათმეცნიეროლოგიებით.

აღსრულებოდეს კეთილშობილური მიზნები მამა ლუიჯი მანტოვანს — ქართული ენის უანგარო მხატვრსა და ქართველი ერის დიდ მეგობარს.

მუჟანა ფიქიჩიშვილი

განცხადება

ქუთაისის აკადემიური წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1999 წლის 2-4 მაისს გაიმართება დიალექტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი (ქუთაისში VI), რომელიც ორგანიზებულია ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. მსოფლიოს სხვადასხვა ქართველოლოგიური ცენტრიდან უკვე წარმოდგენილია 124 მოხსენება (ენათმეცნიერული, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური-ისტორიული, ფილოლოგიური ხასიათისა). სიმპოზიუმის თემაა „ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში“. ბლენარული სხდომები გაიმართება „მწვანე დარბაზში“; სექციური სხდომები კი — ივანე ჯავახიშვილისა და ვარლამ თოფურიას სახელობის კაბინეტებში.

სტრუქტურული კოლეგია:	დირექტორი:	ჩვენი მისამართი:	რეგისტრაციის ნომერი:
იოსებ იარღანაშვილი, ლია რუსაძე, რუსულან სალინაძე (ბასუხისმგებელი მდივანი), სოფიო სულაგარიძე, ბარილ შუბაძე (რედაქტორი), გარინე მახარაძე, მთაწარი ყარაშვილი	ლოლა გაბრიძაძე, ვარლამ ლათაშვილი კოვბიშვილი უზრუნველყოფა: ირმა ნასარიძე, ნანა გაბაძაძე	გაბრიძის ტაძრის ადრეინების ფონდის მანსარდი ☎ 5-28-83 (თსუ მისამართოლოგიის ინსტიტუტი)	19/06-311